საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	95	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

გიორგი გოგიაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გიორგი გოგიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს რვა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული შვიდი და 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ერთი სამართალდარღვევა (ყველა შემთხვევაში სანქციად შეეფარდა

		ჯარიმა). შეფარდებული ჯარიმებიდან ოთხი ვადაგასულია, ხოლო დანარჩენი გადახდილია დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა სამართლიანობით, თავმდაბლობით, კეთილსინდისიერებით, როგორც პრაქტიკული, ისე პედაგოგიური საქმიანობისადმი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გიორგი გოგიაშვილი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია მიუკერძოებელ, პრინციპულ, და სამართლიან პიროვნებად. მათი აზრით, გიორგი გოგიაშვილის სამეცნიერო ნაშრომები და გადაწყვეტილებების დასაბუთებები ნათლად მიუთითებს, რომ ის ხელმძღვანელობს მხოლოდ ცოდნით, შინაგანი რწმენითა

		და სამართლიანობის პრინციპით. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის კარგად დაცვის უნარი. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი უაღრესად კორექტული, ტაქტიანი და გაწონასწორებული ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას და გულახდილობას. კანდიდატის ქცევას, მის დამოკიდებულებას კოლეგების და სტუდენტების მიმართ ცალსახად პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გამორჩეულად აღნიშნავენ მის გულისხმიერებას, ღიაობას და უშუალობას. ასევე მიუთითებენ, რომ ყურადღებიანია და ყოველთვის მზადაა დასაბუთებული პასუხის გასაცემად პროფესიულ საკითხზე. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, გიორგი გოგიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ გამოსულია ოთხ სამოქალაქო საქმეზე: ერთ საქმეზე განმცხადებლის სტატუსით (მოთხოვნა დაკმაყოფილდა), ორ საქმეზე მოსარჩელის სტატუსით (ერთხელ უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ხოლო მეორედ სარჩელი დატოვებულ იქნა განუხილველად), ერთ საქმეზე მოპასუხის

		სტატუსით (მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე). მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი, მისი წარმატებული პრაქტიკული, პედაგოგიური და მეცნიერული საქმიანობიდან გამომდინარე, სარგებლობს მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით. მუდმივად იკვლევს და კარგად იცნობს სამართლის თანამედროვე დოქტრინებს, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში საყურადღებო (პოზიტიური ან ნეგატიური) ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. ერთ-ერთი რეკომენდატორი გიორგი გოგიაშვილის სისუსტედ ასახელებს იმას, რომ ის „არის ზედმეტად მოკრძალებული“. ხოლო მეორე რეკომენდატორი მიუთითებს, რომ მას „არ უყვარს საჯაროდ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენა“. ჩემის აზრით, ორივე შენიშვნა არსებითად მსგავსი ბუნებისაა. უნდა ითქვას, თავისთავად ფაქტები, რომ კანდიდატი ეწევა აქტიურ პედაგოგიურ საქმიანობას (რაც ხშირ შემთხვევაში სწორედ სტუდენტების წინაშე საჯარო გამოსვლებს გულისხმობს), ასევე თუნდაც მისი საჯარო გამოსვლა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წინაშე საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობის დასაკავებლად, ჩემი აზრით, აბათილებს რეკომენდატორების

		ხსენებულ შენიშვნებს. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის სხვა პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, გიორგი გოგიაშვილის საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა რვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმები) გადახდილი აქვს კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა** / **მაქსიმალური ქულა**	

სამართლის ნორმების ცოდნა	20	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა და ნაშრომის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ გიორგი გოგიაშვილი ძალიან კარგად ფლობს საქართველოს ადმინისტრაციული და სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის თეორიულ საფუძვლებს. ის ზუსტად და სიღრმისეულად აღიქვამს გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და დანიშნულებას. წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში დასმული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისას გამოყენებულია სამართლის ნორმათა ლოგიკური და ტელეოლოგიური განმარტების მეთოდები. წარმოდგენილ ნაშრომში (წიგნში) მოცემულია ავტორის შეხედულებები მართლმსაჯულების ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორიცაა სამართალშეფარდება და სამართალშემოქმედება საქმიანობის შესახებ. გაშლილია დისკუსია სასამართლო დისკრეციისა და პრეცედენტის კიდევ უფრო აქტიურად გამოყენებამ შეიძლება თუ არა ხელი შეუწყოს საქართველოს სასამართლო პრაქტიკის წამყვანი დემოკრატიული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკასთან ჰარმონიაში მოყვანას. ავტორი მიმართავს ევროპული და ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემების მცირე ისტორიულ ექსკურსსაც. დეტალურად განიხილავს სასამართლო გადაწყვეტილების მიღების მისეულ მეთოდოლოგიას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს. მიმაჩნია, რომ კანდიდატი კარგად არის გათვითცნობიერებული და

			სიღრმისეულად ერკვევა არა მხოლოდ ეროვნული სასამართლოს, არამედ ზოგადად სასამართლოს მიერ მართლმსჯულების განხორციელების პრობლემურ და აქტუალურ საკითხებში (განსაკუთრებით სამართალშეფარდებისა და სამართალშემოქმედების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით). ის საკმაოდ ვრცლად, კონკრეტული საქმეებისა და კონცეპციების გააზრების საფუძველზე მიმოიხილავს აღნიშნულ და ბევრ სხვა პრობლემას; მაგ. როგორ უმკლავდებიან სასამართლოები და მოსამართლეები კანონის ბუნდოვანებას და ა. შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატს გააჩნია სამართლის მთელი რიგი საკითხების მეცნიერული ცოდნა. საფუძვლიანად ერკვევა საერთაშორისო სამართალშიც. ხსენებულ ნაშრომში ზუსტად და ნათლად არის წარმოჩენილი სამართლებრივი პრობლემები, ამომწურავად არის გააზრებული ყველა დასმული საკითხის არსი. ცხადია, რომ მას შეუძლია სამართლებრივი საკითხის დეტალური ანალიზი, თანმიმდევრული მსჯელობის საფუძველზე ლოგიკური დასკვნის გამოტანა და პრობლემიდან გამოსავლის შესახებ მისეული ხედვის ჩამოყალიბება. ზოგადად სამართლის ფილოსოფიურ/თეორიულ საკითხებზე დასმულ შეკითხვებზე მისი პასუხი, ჩემი აზრით, ძალიან საინტერესო და სიღრმისეული იყო. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ პრინციპების და არსებითი უფლებების ბუნებასა და მათი განხორციელების (შემზღუდავი პირობების გათვალისწინებით) წესთან დაკავშირებით კანდიდატის მსჯელობაზეც. კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ ის აქტიურად ეცნობა ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას, სრულყოფილად ფლობს მატერიალურ და

			საპროცესო კანონმდებლობას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა და ნაშრომის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ გადაწყვეტილებებში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია დამაჯერებლად და დასაბუთებულია კვალიფიციურად. თვალსაჩინოა, რომ კანდიდატის პოზიცია მოხმობილი ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. ჩემი აზრით, როგორც წარმოდგემილ გადაწყვეტილებით, ასევე გასაუბრების შედეგად მიღებული შთაბეჭდილებით ნათელია, რომ კანდიდატს ძალიან კარგად შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის, შიდასახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზი. შედეგად, საკუთარი დასკვნის საფუძვლიანად ჩამოყალიბება. გიორგი გოგიაშვილის 27 წლიანი პროფესიული გამოცდილება მოიცავს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში საქმიანობას, ასევე პედაგოგიურ და მეცნიერულ-თეორიულ მოღვაწეობას. გიორგი გოგიაშვილს გააჩნია 10 წლიანი სამოსამართლო საქმიანობის პრაქტიკაც. ამჟამად ასრულებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ

			საქმეთა პალატის მოსამართლის უფლებამოსილებას.
წერის უნარი	19	20	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ სამ ადმინისტრაციულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა და ნაშრომის ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა შესრულებულია გამართული ქართულით და იკითხება კარგად. მიუხედავად განხილული საკითხების სირთულისა, აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია ბუნებრივად არის ჩართული საერთო ენობრივ კონტექსტში. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი როგორც წესი მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და

			გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას ლაკონიურად და საკმაოდ ცხადად გადმოსცემს. მისი მსჯელობა როგორც წესი თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. მას შეუძლია დაიცვას საკუთარი პოზიცია კონსტრუქციული მსჯელობის ფარგლებში. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად, როგორც წესი, გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**13**	**15**	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს (2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: გიორგი გოგიაშვილს საანგარიშო 1014 დღეში დასრულებული აქვს 767 საქმე (დღეში საშუალოდ 0,8 საქმე), რაც მისი სამუშაო რეჟიმის საშუალო დატვირთულობაზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვის (36,4%) საშუალოზე დაბალი და გადაწყვეტილების

			მომზადების ვადის დაცვის (57,8%) საშუალო მაჩვენებლები. ამავდროულად, აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (96%) მაღალი მაჩვენებელი. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი ხარისხიანად ასრულებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, თუმცა აშკარაა, რომ არსებობს ორგანიზაციული ხარვეზები მის საქმიანობაში, რაც საპროცესო ვადების დაცვის კუთხით გამოვლენილ პრობლემებშია ასახული. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი გოგიაშვილს ახასიათებს პასუხისმგებლობის მაღალი განცდა, ამავდროულად, არის გამორჩეული მკვლევარი და მისი ნაშრომები მნიშვნელოვანია ქართული იურისპრუდენციისთვის.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> გიორგი გოგიაშვილმა 2000 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ კანდიდატი დახასიათებულია მუდმივად სიახლეების მაძიებელ პიროვნებად, რომელიც განუწყვეტლივ ვითარდება როგორც პროფესიონალი. ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი მრავალმხრივ რეალიზებული პროფესიონალია.

პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> გიორგი გოგიაშვილი ბოლო წლების განმავლობაში ინტენსიურად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებში (გავლილი აქვს 2 ტრენინგი, 4 სასწავლო კურსი, 5 სტაჟირება და დაესწრო 2 სემინარს). კანდიდატი სამოსამართლო პრაქტიკის პარალელურად ახორციელებს პედაგოგიურ და აქტიურ სამეცნიერო-თეორიულ საქმიანობას. გიორგი გოგიაშვილი არის მრავალი მონოგრაფიის, სტატიის, ნაშრომის, ასევე, ერთი წიგნის (სამოსამართლო სამართალი) ავტორი. ამჟამად საქართველოს კავკასიის უნივერსიტეტისა და საქართველოს საპატრიარქოს უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორია, აგრეთვე, არის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის ექსპერტ-ლექტორი. მას აქვს სალექციო კურსები თემებზე: კონსტიტუციონალიზმი, ადამიანის უფლებები და სამოსამართლო სამართალი. კანდიდატი აფხაზეთის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის და უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრია;
ქულათა ჯამი	95	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	**20**	**20**
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**20**	**20**
წერის უნარი	**20**	**20**
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**15**	**15**
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	**13**	**15**
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**5**	**5**
პროფესიული აქტივობები	**5**	**5**
ქულათა ჯამი	**98**	**100**

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი: 28.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ნინო ქადაგიძე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 გადაწყვეტილებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - გიორგი გოგიაშვილის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

1.2. საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა 50 პირი, მათ შორის - გიორგი გოგიაშვილი.

1.3. საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში - ორგანული კანონი) 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია პროცედურაში მონაწილე კანდიდატთა შესახებ, რომელიც გასაცნობად წარმოგვედგინა საბჭოს წევრებს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილი წესით. აღნიშნულ ინფორმაციას გავეცანი დეტალურად.

1.4. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ კანდიდატთა შეფასების წესი განსაზღვრულია ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით;

1.5. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 (ხუთი) მახასიათებლის მიხედვით და, ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე, ამ მახასიათებელთა ანალიზისა და შეჯერების საფუძველზე, შევადგინე საბოლოო დასკვნა კანდიდატის კეთილსინდისიერების შესახებ. ყოველი მახასიათებლის მიხედვით შეფასება დავაფუძნე კანონმდებლობით განსაზღვრული ცალკეული კომპონენტების ანალიზსა და შეჯრებას, შემდეგნაირად: თუ კანდიდატი ყველა ამ კომპონენტის მიმართ დადებითად შეფასდა, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,სრულად აკმაყოფილებს" მახასიათებელს; თუ კომპონენტებიდან არაუმეტეს ორის მიმართ შეფასება უარყოფითი იყო, გავაკეთე დასკვნა, რომ კანდიდატი ,,აკმაყოფილებს" მახასიათებელს; ხოლო თუ სამი ან მეტი კომპონენტის შეფასება აღმოჩნდა უარყოფითი, მივიჩნიე, რომ კანდიდატი ,,არ აკმაყოფილებს" მახასიათებელს.

1.6. კანდიდატი შევაფასე ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 (შვიდი) მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36⁴ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების გზით.

I. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ

სახელი, გვარი - **გიორგი გოგიაშვილი**

ასაკი: **50 წლის**

დაბადების თარიღი: **1 იანვარი, 1971წ.**

განათლება: **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - უმაღლესი იურიდიული, მაგისტრთან გათანაბრებული; დოქტორის აკადემიური ხარისხი (2002წ.)**

სპეციალობით მუშაობის გამოცდილება: **26 წელი**

სამუშაო ადგილი: **თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლე**

II. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u> მოსამართლეობის კანდიდატის, გიორგი გოგიაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;*
2. *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;*
3. *პიროვნული და პროფესიული ქცევა;*
4. *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*
5. *ფინანსური ვალდებულება.*

1.პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით

- კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება პირის, როგორც მოსამართლისა და მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, სიმართლისმოყვარეობა, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი თუ სხვა მოვალეობების, ფინანსური თუ სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას,

ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის გადახდისას, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად:

- რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობის თაობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის დადებით თვისებებს: პროფესიონალიზმს, მაღალ რეპუტაციას როგორც მოსამართლეებს, ისე თეორეტიკოს იურისტებსა და სტუდენტებს შორის, გადაწყვეტილების კარგად დასაბუთების უნარს, მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, სამართლიანობას, კომუნიკაბელურობას, პასუხისმგებლობას, მაღალ ინტელექტს და სხვა. ორი რეკომენდატორი არ უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, დანარჩენი ორი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში აღნიშნავენ, რომ კანდიდატი არის ზედმეტად მოკრძალებული და არ უყვარს საკუთარი შესაძლებლობების საჯაროდ წარმოჩენა.

რეკომენდატორთა მოსაზრებასთან დაკავშირებით, მინდა აღვნიშნო, რომ თავმდაბლობას და მოკრძალებულობას ვერ მივიჩნევ კანდიდატის სისუსტედ, რამეთუ ორივე ეს მახასიათებელი წარმოადგენს იმ აუცილებელ თვისებას, რომელიც მოსამართლეს უნდა გააჩნდეს.

- გამოკითხული რესპოდენტებიდან, ორი კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობს კარგად, ხოლო ერთი - საშუალოდ. ყველა რესპოდენტის აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- გიორგი გოგიაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს მიმდინარე სესხი და დადებითი საკრედიტო ისტორია. წარმოდგენილი ინფორმაციით არ იკვეთება კანდიდატის მიერ სხვა შეუსრულებელი ვალდებულების არსებობის ფაქტი. დეკლარაციის შევსებისას კანდიდატის მხრიდან კანონის მოთხოვნის დარღვევის, ქონების ან შემოსავლის დამალვის ფაქტი გამოვლენილი არ არის.

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით, კანდიდატს უფიქსირდება შემდეგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები: ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილი („საგზაო ნიშნის წესების დარღვევა" - ჯარიმა 20 ლარი; შვიდი შემთხვევა); ასკ-ის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილი („ამკრძალავი ნიშნის „გაჩერება აკრძალულია" და „დგომა აკრძალულია" მოთხოვნის დაუცველობა, აგრეთვე დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობა"; ჯარიმა -10 ლარი;). აღნიშნული ჯარიმები გადახდილია დროულად.

წარმოდგენილი და მოძიებული მასალები არ შეიცავს იმ სახის ინფორმაციას, რაც ეჭვქვეშ დააყენებს კანდიდატის კეთილსინდისიერებას, აღნიშნული კი, მაძლევს

საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>2. დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მისი პრინციპულობა, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი და ზეგავლენის მიმართ მედეგობა, პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობა, სამართლიანობა და სხვა.

მოძიებული ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, შემომწირველი ან/და მხარდამჭერი. ამასთან, გასაუბრების შედეგად, კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ.

კანდიდატის პასუხები იყო ღია და გახსნილი, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მას გააჩნია პიროვნული სიმყარე და შეუვალობა, იგი თავისუფალია გარე გავლენებისა და კრიტიკის შიშისგან. მისი პიროვნული მახასიათებლები, მათ შორის, რეკომენდატორის მითითება მოკრძალებულობის თაობაზე, რომელიც გარკვეულწილად ნეგატიურ კონტექსტში იქნა მოხსენიებული, მისი კორექტულობა და გაწონასწორებულობა, ასევე ემპათიურობა, იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ის არის დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და სამართლიანი.

ყოველივე აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>3. პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - გაითვალისწინება მის მიერ სამოსამართლო ეთიკის დაცვა, მისი კორექტულობა კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა და იმიჯი, თავდაჭერილობა, საკუთარი ემოციების მართვის უნარი, ქცევა მის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართული დავები, მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრალდებების არსებობა და სხვა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი მონაწილეობდა ოთხ სამოქალაქო საქმეში:

1. სამოქალაქო საქმე №2/10558-12, მოსარჩელე - გიორგი გოგიაშვილი, დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით მოსარჩლის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა და სარჩელი დარჩა განუხილველი.

2. სამოქალაქო საქმე №16149-12, განმცხადებელი - გიორგი გოგიაშვილი, დავის საგანი: ყადაღის დადება უძრავ ქონებაზე, შედეგი: განმცხადებლის მოთხოვნა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დაკმაყოფილდა.

3. სამოქალაქო საქმე №2/10239-12, მოსარჩელე - გიორგი გოგიაშვილი, დავის საგანი: დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, შედეგი: მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა.

4. სამოქალაქო საქმე №2/10553-14, ერთ-ერთი მოპასუხე - გიორგი გოგიაშვილი, დავის საგანი: თანხის დაკისრება, შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა.

<u>საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით,</u> გიორგი გოგიაშვილი ცნობილ იქნა დაზარალებულად (აღნიშნულ საქმეზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა, ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო).

შევაფასე კანდიდატის მონაწილეობა ზემოაღნიშნულ საქმეებში და ვთვლი, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია არ იძლევა რაიმე ტიპის ნეგატიური შეფასების საფუძველს.

ჩამოყალიბებული კოლეგიური ურთიერთობებიდან, ასევე რეკომენდატორების, რესპოდენტებისა და გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხებიდან გამომდინარე კანდიდატი არის კორექტული, თავდაჯერებული, კარგად მართავს ემოციებს, არის გაწონასწორებული და იცავს ეთიკის სტანდარტებს, რასაც ასევე ადასტურებს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, კანდიდატის მიმართ 2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის ნოემბრამდე დისციპლინური დევნა არ დაწყებულა.

აღნიშნული მაძლევს საფუძველს, კეთილსინდისიერების მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო დადებითად.

<u>4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> - მხედველობაში მიიღება კანდიდატის საქმიანი და მორალური რეპუტაცია, ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში, იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათი, ხარისხი და სხვა.

კანდიდატი წლების განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, არის არაერთი სახელმძღვანელოს ავტორი (თანაავტორი), იურიდიულ წრეებში სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით. როგორც აღინიშნა, რეკომენდატორები და გამოკითხული რესპოდენტები კანდიდატს ახასიათებენ ძალიან კარგად. მას აქვს მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაცია, რაც მაძლევს საფუძველს, მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი მივჩნიო დადებითად.

<u>5. ფინანსური ვალდებულებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას</u> გაითვალისწინება ინფორმაცია მისი შემოსავლის წყაროს, აქტივების, საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებული ქონების და ამ ქონებისა და შემოსავლის შესაბამისი ვალისა და ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ვალდებულებების შემოწმების საფუძველზე, არ გამოვლენილა ის შესაძლო შეუსაბამობები, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კანდიდატის პატიოსნება და მიუკერძოებლობა, ამდენად მითითებულ მახასიათებელში კანდიდატი ასევე უნდა შეფასდეს დადებითად.

ყველა ზემოაღნიშნული მახასიათებლის ანალიზისა და შეჯერების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

<u>III. მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით</u>

<u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმით**</u> მოსამართლეობის კანდიდატის, გიორგი გოგიაშვილის შეფასებისას გავითვალისწინე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[4] მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი მახასიათებლები:

1. *სამართლის ნორმების ცოდნა;*
2. *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
3. *წერის უნარი;*
4. *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
5. *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
6. *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
7. *პროფესიული აქტივობა.*

1. სამართლის ნორმების ცოდნა

ჩემ მიერ შეფასებულ იქნა გიორგი გოგიაშვილის მონაწილეობით განხილული საქმეები, მათ შორის:

- საქმე №3ბ/1429-16, დავის საგანი: ბათილად იქნეს ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილება, ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის ბრძანება.
- საქმე №3ბ/1314-16, დავის საგანი: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დავალება.
- საქმე №3ბ/1434-16, დავის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

ასევე გავეცანი ადმინისტრაციულ საქმეზე №3ბ/366-18, გიორგი გოგიაშვილის მიერ მომზადებულ განსხვავებულ აზრს და მის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოს **„სამოსამართლო სამართალი"**.

ზემოაღნიშნული მასალების გაცნობა და გასაუბრებაზე დასმულ შეკითხვებზე კანდიდატის მიერ გაცემული პასუხები მაძლევს საფუძველს მივიჩნიო, რომ გიორგი გოგიაშვილი

ხასიათდება მაღალი პროფესიონალიზმით, აქვს მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის ღრმა ცოდნა, სრულყოფილად იცნობს არამხოლოდ საქართველოს კონსტიტუციას, არამედ ღრმად, დოქტრინალურ დონეზე აქვს შესწავლილი ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის, ავსტრიის და სხვა ქვეყნების კონსტიტუციური სამართალი. იგი ასევე კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს. მისი მსჯელობა საერთო და კონტინენტური სამართლის ფუნდამენტალური მახასიათებლების თაობაზე, არის სიღრმისეული. გასაუბრების დროს კანდიდატმა გამოავლინა ასევე სამართლის ფილოსოფიის ასპექტების კარგი ცოდნა.

საინტერესოა მისი ხედვები დიდი პალატის განმარტების მნიშვნელობის თაობაზე. კანდიდატი დასაბუთებულად მსჯელობს იმ წინააღმდეგობებისა და პრობლემების თაობაზე, რომლებიც უკავშირდება პერსონალური მონაცემების გასაჯაროებას, მოსამართლეთა დისციპლინური წარმოების მასალების გამოქვეყნებას. კანდიდატი საინტერესოდ ასაბუთებს ე.წ. „ნახტომისებრი კასაციის" პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს.

გავეცანი მის მიერ წარმოდგენილ „განსხვავებულ აზრს" და, სადავო საკითხთან მიმართებაში, ჩვენს შორის აზრთა თანხვედრის არარსებობის მიუხედავად, ვთვლი, რომ კანდიდატის მოსაზრებები იმსახურებს ყურადღებას, არის არგუმენტირებული და მიუთითებს კანდიდატის, როგორც მოსამართლის კრიტიკული აზროვნების და საკუთარი პოზიციების დაცვის უნარზე.

გასაუბრების პროცესში კანდიდატმა დაამტკიცა, რომ მისი ცოდნა არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობით, ყველა დასმულ შეკითხვაზე მისი პასუხები იყო სრული, ამომწურავი, დასაბუთებული, არგუმენტირებული და იგრძნობოდა საკითხის სიღრმისეული ცოდნა.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **20 ქულით.**

2. სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით

გიორგი გოგიაშვილს გააჩნია მოსამართლედ მუშაობის 9 წლიანი გამოცდილება. ასევე, იგი მრავალი წელია ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას, რაც მიუთითებს მის პროფესიულ კვალიფიკაციაზე. მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები არის მკაფიოდ, თანმიმდევრულად და სარწმუნოდ დასაბუთებული. გადაწყვეტილებების სტრუქტურა შეესაბამება საპროცესო კოდექსის მოთხოვნებს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - **20 ქულით.**

3. წერის უნარის მახასიათებელი

კანდიდატის წერის უნარს ვაფასებ მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების და სამეცნიერო ნაშრომების ანალიზის საფუძველზე და როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატს გადაწყვეტილებები მიღებული აქვს დასაბუთების მაღალი სტანდარტის დაცვით, ასევე გადაწყვეტილებებში იგი ავითარებს ლოგიკურ მსჯელობებს, ავლენს კრიტიკული აზროვნების უნარს, გადაწყვეტილებები არის სტრუქტურირებულ სისტემაზე დაფუძნებული და მარტივად აღქმადი.

კანდიდატის სამეცნიერო ნაშრომები და მის მიერ გამოქვეყნებული წიგნები ადასტურებს, რომ კანდიდატი ფლობს წერის აკადემიურ უნარ-ჩვევებს.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 20 ქულით.

4. ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებელი

კანდიდატი გამოირჩევა მეტყველების მაღალი კულტურით, არის აკადემიური, აზრს აყალიბებს ნათლად და გასაგებად. გააჩნია მოსმენის კულტურა, არის ღია და გახსნილი, რაზეც მეტყველებს მისი გასაუბრების პროცესი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 15 ქულით.

5. პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევის, მახასიათებელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2017 წლის 1 ნოემბრიდან - 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, გიორგი გოგიაშვილის მიერ განხილულ საქმეთა მაჩვენებელი შემდეგნაირია:

- საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -36,4%; ვადის დარღვევით - 63.6%.
- გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -57,8%; ვადის დარღვევით - 42,2%.
- გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 96%; შეცვლილი - 4%
- საანგარიშო პერიოდში (1014 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 767 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმემდე.

კანდიდატის დატვირთულობისა და საქმეთა სიმრავლის მიუხედავად, საპროცესო ვადებისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვის მაჩვენებლები მიუთითებს, რომ არის გარკვეული ხარვეზები მისი მხრიდან დროის ეფექტურად გადანაწილების თვალსაზრისით, მისი მენეჯერული უნარ-ჩვევები საჭიროებს დახვეწას.

მოპოვებული ინფორმაცით, კანდიდატის მხრიდან არ გამოვლენილა სხდომაზე ქცევის წესებისა და მოსამართლისათვის შეუფრებელი ქმედების ჩადენის ფაქტი. ასევე არ

გამოვლენილა არაკორექტული ან არაეთიკური ქცევა, რაც დააკნინებს მოსამართლის მაღალ რეპუტაციას.

გადაწყვეტილებების მომზადების საპროცესო ვადები მაძლევს საფუძველს, კანდიდატს აღნიშნულ კომპონენტში არ მივანიჭო უმაღლესი შეფასება და ამ მახასიათებელში შევაფასო - 13 ქულით.

6. აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციით დასტურდება, რომ კანდიდატი აქტიურად ესწრება სხვადასხვა ტრენინგებს და სასწავლო კურსებს, აქვს ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. იგი მიღებულ ცოდნას იყენებს როგორც სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში. კანდიდატის სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ იგი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრი და უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

7. პროფესიული აქტივობის მახასიათებელი

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, კანდიდატი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მონაწილეობს არაერთ შეხვედრასა თუ დისკუსიაში. ცნობილია, რომ იგი არის არაერთი პუბლიკაციის და წიგნის ავტორი, რომელიც გამოყენებადია როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული მიზნებისათვის.

აღნიშნული გარემოებები მაძლევს საფუძველს, ამ მახასიათებელში კანდიდატი შევაფასო - 5 ქულით.

ზემოაღნიშნული მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით კანდიდატს ჯამში ვაფასებ - 98 ქულით.

სახელი, გვარი: ნინო ქადაგიძე

თარიღი : 28.05.2021 წ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	98	100

სახელი, გვარი: თამარ ღვამიჩავა

თარიღი: 28.05.2021

თამარ ღვამიჩავა - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **გიორგი გოგიაშვილის შეფასება.**

2020 წლის 10 დეკემბერს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატად დარეგისტრირდა 50 კანდიდატი, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 5 ნოემბრის №1/141 განკარგულების საფუძველზე.

გავეცანი კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც გასაცნობად წარედგინა საბჭოს თვითოეულ წევრს. ასევე მონაწილეობა მივიღე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **გიორგი გოგიაშვილის** საჯარო მოსმენაში, რომელიც გაიმართა **2020 წლის 16 დეკემბერს.** იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს როგორც სამართლებრივი ასევე ზოგადი ხასიათის შეკითხვები. საჯარო მოსმენის ამსახველი ვიდეო-ჩანაწერის ნახვა შესაძლებელია მითითებულ ლინკზე - https://www.youtube.com/watch?v=OBTWPqdUlYw

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი **გიორგი გოგიაშვილი** არის მოქმედი მოსამართლე, შესაბამისად მისი შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით სამოსამართლო გამოცილების მქონე კანდიდატის შეფასებისათვის დადგენილი წესის საფუძველზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის **გიორგი გოგიაშვილი** კეთილსინდისიერების კრიტერიუმის შეფასებისას გავითვალისწინე ზემოაღნიშნული კრიტერიუმის მახასიათებლები. შესაბამისად კანდიდატი შეფასდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული კეთილსინდისიერების კრიტერიუმის 5 მახასიათებლის მიხედვით და ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის საფუძველზე.

ასევე კანდიდატის შეფასება განხორციელდა ორგანული კანონის 36^3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული კომპეტენტურობის კრიტერიუმის 7 მახასიათებლის მიხედვით, თითოეული მახასიათებლისათვის ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული ქულების მინიჭების და თითოეული ქულის დასაბუთებულობის საფუძველზე.

- **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია კანდიდატის შესახებ.**

კანდიდტი გიორგი გოგიაშვილი გახლავთ 49 წლის. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი,თსუ). სპეციალობით მუშაობს 26 წელზე მეტია, მათ შორის - მოსამართლედ 9 წელზე მეტი, კერძოდ:
2001 წელს განწესდა თბილისის საოლქო სასამართლოში და ამავე წელს დაინიშნა თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ; 2004 წლიდან 2006 წლამდე იყო თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარე; 2006 წელს გათავისუფლდა თანამდებობიდან და ჩაირიცხა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვში. 2010 წელს ამოირიცხა საერთო სასამართლოების მოსამართლეთა რეზერვიდან და გათავისუფლდა მოსამართლის თანამდებობიდან. 2016 წლის 25 ივლისიდან გამწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით, ხოლო 2017 წლის 20 ოქტომბრიდან გამწესდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე.
რეკომენდატორები გამოარჩევენ კანდიდატის დადებით თვისებებს: მის მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, სამართლიანობას, კომუნიკაბელურობას, პასუხისმგებლობას, ინტელექტს, პროფესიონალიზმს, კანდიდატი მაღალი რეპუტაციით, სარგებლობს, როგორც მოსამართლეების, ისე აკადემიური წრის წარმომადგენლებსა და სტუდენტებს შორის. ასევე აღნიშნავენ კანდიდატის გადაწყვეტილების კარგად დასაბუთების უნარზე, და სხვა. ორი რეკომენდატორი არ უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე,. დანარჩენი ორი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში აღნიშნავს ზედმეტ მოკრძალებულობას, ასევე უთითებენ, რომ კანდიდატს არ უყვარს საკუთარი შესაძლებლობების საჯაროდ წარმოჩენა.
გამოკითხული რესპოდენტებიდან, ორი მათგანი კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობს კარგად, ხოლო ერთი - საშუალოდ. რესპოდენტების აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპოდენტები კანდიდატს აფასებენ ძალიან კარგად.

კანდიდატმა გიორგი გოგიაშვილმა მონაწილეობა მიიღო შემდეგ სასწავლო-პროფესიულ ღონისძიებებში:
- საჯარო ადმინისტრაციის ცვლილებათა სტრატეგია - სასწავლო კურსი (დიდი ბრიტანეთი, ლონდონი. 2001 წ.).
- რელიგიური ტოლერანტობა - სასწავლო კურსი (აშშ. ჩრ. კაროლინა. ვაშინგტონი, 2002 წ).
- ურთიერთთანამშრომლობა ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში - სასწავლო კურსი (აშშ. ნიუ ორლიანი, ვაშინგტონი, 2005 წ.).
- სასამართლო მენეჯმენტი - სასწავლო კურსი (აშშ. კალიფორნია. სან-ფრანცისკო 2018წ.).
- გაეროს 1951 წლის ლტოლვილთა შესახებ კონვენციის გამოყენების თეორიისა და პრაქტიკის შესახებ ტრენინგი (ყირგიზეთი, ბიშკეკი. 2018წ).
- ტრენერთა ტრენინგი საერთაშორისო სამართალში 2016-2019წწ
- ტესტის შექმნის მეთოდოლოგია - სასწავლო კურსი და სხვა.
კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ:
- 2016 წლიდან არის ექსპერტ-ლექტორი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში.

- 2015 წლიდან არის მოწვეული პროფესორი საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში.
- 2010 წლიდან მოწვეული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში.
- 2009 წლიდან საჯარო სამართლის მიმართულების პროფესორი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
- 1999 წლიდან 2006 წლამდე იყო მოწვეული ლექტორი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
კანდიდატი არის არაერთი სახელმძღვანელოს/ნაშრომის/სტატიის ავტორი, კერძოდ:
- შედარებითი ფედერალიზმი. „ინტელექტი" 2000 წ.
- შედარებითი კონსტიტუციური სამართალი „იურისტების სამყარო" 2014 წ.
- სამოსამართლო სამართალი „იურისტების სამყარო" 2014 წ.
- საკონსტიტუციო სამართალი (ავთანდილ დემეტრაშვილთან თანაავტორობით) „იურისტის სამყარო" 2016 წ.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის გადაწყვეტის გზები ბელგიასა და ესპანეთის შედარებით სამართლებრივი ანალიზის ფონზე (ლ. ჯანაშვილის თანაავტორობით) 2017 წ.
- შედარებითი კონსტიტუციური სამართალი „იურისტების სამყარო" (მინდია უგრეხელიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით) 2019 წ.
კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი არის არაერთი სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი; მას გამოქვეყნებული აქვს არაერთი სტატია.
კანდიდატი არის რეფერირებადი ჟურნალის ,,სპექტრის'' სარედაქციო კოლეგიის წევრი.
- საქართველოს ტერიტორიული მოწყობის კონფერენცია, თანაავტორი (ფრიდრიხ ებარტისფონდის ბიულეტენი, 1997წ. №2.
- კომპეტენციის გამიჯვნა ცენტრსა და ავტონომიას შორის (GTZ-ის საერთაშორისო კონფერენციის მასალების კრებული).
- საჯარო სამართალი, კერძო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა (ქართულ და ინგლისურ ენებზე) „თსუ იურიდიული ფაკულტეტის საიუბილეო კრებული'' 2003 წ. და სხვა.

კანდიდატ გიორგი გოგიაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი. აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (ფიქსირდება მცირედი ჯარიმები). კანდიდატს საკუთრებაში აქვს: არასაცხოვრებელი ფართი (მემკვიდრეობით) (221,7კვ.მ), საცხოვრებელი სახლი (მემკვიდრეობით) (282,6 კვ.მ) და მიწის ნაკვეთი (მემკვიდრეობით) (2800 კვ.მ.) კასპის რაიონში; მიწის ნაკვეთები: თბილისში (1100 კვ.მ), ტაბახმელასა (1000 კვ.მ.) და საგურამოში (8060 კვ.მ.); ბინა თბილისში (109 კვ.მ.). მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, გიორგი გოგიაშვილი რამდენჯერმე დაჯარიმდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის; ჯარიმები გადახდილია დროულად.
მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.
კანდიდატი გიორგი გოგიაშვილი მხარედ მონაწილეობდა 4 სამოქალაქო საქმეში; აგრეთვე - დაზარალებულად იქნა ცნობილი სისხლის სამართლის საქმეში, რომლის წარმოებაც შეწყდა, ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო.

კანდიდატი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი/შემომწირველი.
კანდიდატმა გიორგი გოგიაშვილმა წარმოადგინა მის მიერ ადმინისტრაციულ საქმეზე გამოტანილი 3 სასამართლო გადაწყვეტილება, 1 განსხვავებული აზრი და სახელმძღვანელო: ,,სამოსამართლო სამართალი", 2020 წ.

2017 წლის 1 ნოემბრიდან 2020 წლის 1 ნოემბრამდე პერიოდში, გიორგი გოგიაშვილმა საქმეთა მხოლოდ 36.4% განიხილა საპროცესო ვადების დაცვით; გადაწყვეტილებები ვადის დაცვით მოამზადა 57.8%-ზე; მისი გადაწყვეტილებები დარჩა უცვლელი საქმეთა 96%-ში. საანგარიშო პერიოდში (1014 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 767 საქმე, დღეში საშუალოდ 0.8 საქმე.

- **კანდიდატ შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით.**

კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, რომ იგი ფინანსურ და სხვა მოქალაქეობრივ ვალდებულებებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები (მოძრაობის წესების დარღვევების თაობაზე) კანდიდატის მიერ გადახდილია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი. იგი გამოირჩევა პრინციპულობით, მედეგობით, სამართლიანობით, მიუკერძოებელობით, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კორექტული და თავდაჭერილია. ასევე, საჯარო მოსმენის შედეგად არ გამოვლენილა რაიმე გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. შესაბამისად, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

- **კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით.**

-კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია - **სამართლის ნორმების ცოდნა.**

კანდიდატის საჯარო მოსმენის დროს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ დასმულ სამართლებრივ შეკითხვებზე პასუხები იყო თანმიმდევრული, დასაბუთებული და ეფუძნებოდა სწორ სამართლებრივ შეფასებებს.

კანდიდატის შესახებ არსებული დოკუმენტების და ასევე მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, კარგად

იცნობს კანონმდებლობას, როგორც მატერიალურ ასევე პროცესუალურ ნორმებს, ადამიანის უფლებების სამართალს, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. მოსამართლეობის კანდიდატი მის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში იყენებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვან პრაქტიკას.

საჯარო გასაუბრებისას ნათლად წარმოჩინდა, რომ მოსამართლეს აქვს ჩამოყალიბებული ხედვა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად გადასადგმელი ნაბიჯების შესახებ, რაც საგულისხმო და დასაბუთებულია.
შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრული **სამართლის ნორმების ცოდნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **20 ქულით.**

-კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისათვის ვიხელმძღვანელე როგორც მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებით, ასევე საჯარო მოსმენისას წარმოჩენილი ცოდნის დონით.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. დასაბუთებისას, მოსამართლე ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას, უსადაგებს კანონის შესაბამის ნორმას და უზრუნველყოფს სამართლიანი გადაწყვეტილების გამოტანას.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა კარგი ანალიტიკური აზროვნების, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი. ის, ძირითადად, დამაჯერებლად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას აზრთა სხვადასხვაობისა თუ თანხვედრობის შემთხვევაში. კანდიდატი თავისუფლად მსჯელობდა სამართლებრივ საკითხებზე. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული **სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **20 ქულით.**

-კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად ვასკვნი, რომ მას გააჩნია აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობის უნარი. შესაბამისად, ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრული **წერის უნარის** მახასიათებლის მიხედვით კანდიდატი შეფასდა **18 ქულით.**

-საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა ზეპირი კომუნიკაციის კარგი უნარი, ის გამართულად და აუღელვებლად მეტყველებს. დასმულ საკითხთან დაკავშირებით აზრს გადმოსცემს დამაჯერებლად, ნათლად და გასაგებად. საუბრისას ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან გარემოებებზე. ასევე შეუძლია განსხვავებული აზრის მოსმენა. შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული **ზეპირი კომუნიკაციის უნარის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **15 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი არის მიზანდასახული, შრომისმოყვარე პიროვნება. აქვს პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, არის კორექტული, თავდაჭერილი, სასამართლო

სხდომას უძღვება სათანადოდ, კანდიდატს აქვს მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევა, იმიჯი, არის პრინციპული, მედეგი, გააჩნია ემოციების მართვის უნარი, იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს.

შესაბამისად კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრული მახასიათებლის - **პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში** შეფასდა **15 ქულით.**

-კანდიდატის თაობაზე მოძიებულ ინფორმაციასა და მის საჯარო მოსმენაზე დაყრდნობით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატს აქვს თვითგანვითარების უნარი, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. მოპოვებული ინფორმაციით, კანდიდატს სამართლებრივ სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, რაც მიზნად ისახავს კვალიფიკაციის ამაღლებას და ცოდნის გაღრმავებას. შესაბამისად, კანდიდატი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული **აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

კანდიდატი ახორციელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, აქედან გამომდინარე იგი ორგანული კანონის 36³ მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული **პროფესიული აქტივობის** მახასიათებლის მიხედვით შეფასდა **5 ქულით.**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატ **გიორგი გოგიაშვილის** კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით ჯამური შეფასება შეადგენს **98 ქულას.**

1. სამართლის ნორმების ცოდნა - **20 ქულა**
2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია -**20 ქულა**
3. წერის უნარი -**18 ქულა**
4. ზეპირი კომუნიკაციის უნარი - **15 ქულა**
5. პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში - **15 ქულა**
6. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - **5 ქულა**
7. პროფესიული აქტივობა - **5 ქულა**

ქულათა ჯამი 98 ქულა

თარიღი: **28.05.2021 წ.**

ხელმოწერა: ი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☑

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	96	100

სახელი, გვარი: ირაკლი ბონდარენკო

თარიღი: 29.05.21

გიორგი გოგიაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის გიორგი გოგიაშვილის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლით** უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის - გიორგი გოგიაშვილის შეფასებისას აღსანიშნავია მის შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ ინფორმაციაში რესპონდენტებისა და რეკომენდატორების მოსაზრებები კანდიდატის შესახებ სადაც ისინი მიუთითებენ კანდიდატის ისეთ თვისებებზე, როგორიცაა: პროფესიონალიზმი, მაღალი რეპუტაცია როგორც მოსამართლეებს, ისე თეორეტიკოს იურისტებსა და სტუდენტებს შორის, გადაწყვეტილების კარგად დასაბუთების უნარი, მიუკერძოებლობა, დამოუკიდებლობა, სამართლიანობა, კომუნიკაბელურობა, პასუხისმგებლობა, მაღალი ინტელექტი და სხვა. ორი რეკომენდატორი არ უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს, დანარჩენი ორი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებში აღნიშნავს ზედმეტ მოკრძალებულობასა და რომ კანდიდატს არ
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		უყვარს საკუთარი შესაძლებლობების საჯაროდ წარმოჩენა. **დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის მახასიათებლით** შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი - გიორგი გოგიაშვილი არის პრინციპული და მიუკერძოებელი. გააჩნია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისათვის საჭირო პიროვნული და პროფესიული უნარები, კოლეგების აზრით, მოსამართლე იჩენს სათანადო სიმტკიცეს ყოველგვარი ზეგავლენის მიმართ. გ. გოგიაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი. მის შესახებ ხელთ არსებული ინფორმაცია არ იძლევა კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიუკერძოებლობის ან განსხვავებული რელიგიური, რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური კუთვნილების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველს. **პიროვნული და პროფესიული ქცევის კუთხით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გოგიაშვილი როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე თავდაჭერილი და ემოციურად გაწონასწორებული პიროვნებაა. კოლეგებს და სასამართლო პროცესის მონაწილეებს ეპყრობა თავაზიანად. გიორგი გოგიაშვილის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. რაც შეეხება მხარედ მისი მონაწილეობით სასამართლოში წარმართულ დავებს, მოძიებული ინფორმაციის თანახმად: კანდიდატი მონაწილეობდა ოთხ სამოქალაქო საქმეში: - სამოქალაქო საქმე №2/10558-12, მოსარჩელე - გიორგი გოგიაშვილი.

		დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება. შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 11 თებერვლის განჩინებით მოსარჩლის შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის თაობაზე დაკმაყოფილდა და სარჩელი დარჩა განუხილველი. - სამოქალაქო საქმე №16149-12, განმცხადებელი - გიორგი გოგიაშვილი. დავის საგანი: ყადაღის დადება უძრავ ქონებაზე. შედეგი: განმცხადებლის მოთხოვნა უძრავ ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დაკმაყოფილდა. - სამოქალაქო საქმე №2/10239-12, მოსარჩელე - გიორგი გოგიაშვილი. დავის საგანი: დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. შედეგი: მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა. - სამოქალაქო საქმე №2/10553-14, ერთ-ერთი მოპასუხე - გიორგი გოგიაშვილი. დავის საგანი: თანხის დაკისრება შედეგი: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 27 ივნისის განჩინებით მოსარჩელეს სარჩელის მიღებაზე უარი ეთქვა. საქართველოს გენერალური პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი გოგიაშვილი ცნობილი იქნა დაზარალებულად. (აღნიშნულ საქმეზე ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა).

		პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის კუთხით შეფასებისას გათვალისწინებული იქნა მისი საქმიანი და მორალური რეპუტაცია და ავტორიტეტი იურიდიულ წრეებსა და საზოგადოებაში და უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი გოგიაშვილი მოსამართლე კოლეგებში, ასევე იურიდიულ წრეებში სარგებლობს გაწონასწორებული ადამიანისა და მაღალკვალიფიციური იურისტის სახელით. მას ახასიათებენ განათლებულ პიროვნებად, პრინციპულ და გულმოდგინე პროფესიონალად სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას. **ფინანსური ვალდებულებების კუთხით კანდიდატის შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, აქვს მიმდინარე სესხი დადებითი საკრედიტო ისტორიით და მცირედი ჯარიმებით, კანდიდატს საკუთრებაში კანდიდატს აქვს: არასაცხოვრებელი ფართი (მემკვიდრეობით) (221,7კვ.მ), საცხოვრებელი სახლი (მემკვიდრეობით) (282,6 კვ.მ) და მიწის ნაკვეთი (მემკვიდრეობით) (2800 კვ.მ.) კასპის რაიონში; მიწის ნაკვეთები: თბილისში (1100 კვ.მ), ტაბახმელასა (1000 კვ.მ.) და საგურამოში (8060 კვ.მ.) ბინა თბილისში (109 კვ.მ.) მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. ყოველივე ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი - გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	20	20	**სამართლის ნორმების ცოდნის კუთხით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის - გიორგი გოგიაშვილის მატერიალური და პროცესუალური აგრეთვე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ნორმების ცოდნის დონე არის მაღალი. გასაუბრებაზე მან ყველა შეკითხვას გასცა სწორი და თანმიმდევრული პასუხი. ამ კუთხით ხარვეზი არ დაფიქსირდა. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (7.10.2000 წ).
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	**სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის კუთხით შეფასებისას** უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ გამოტანილი სამი სასამართლო გადაწყვეტილება, განსხვავებული აზრი და სამეცნიერო პუბლიკაცია, კერძოდ, ,,სამოსამართლო სამართალი'' (სახელმძღვანელო), რომლებიც დამაჯერებლად დასაბუთებულია. შესწავლილი გადაწყვეტილებების დასაბუთებისას მოსამართლეს ყურადღების მიღმა (ანუ განუხილველად) არ აქვს დატოვებული მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები და თანმდევი მტკიცებულებები. ფაქტობრივ გარემოებებს ადექვატური სამართლებრივი შეფასება (კვალიფიკაცია) აქვს მიცემული. უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება ეფუძნება სამართლის არსებითად სწორ აღქმას.

წერის უნარი	18	20	**წერის უნარის კუთხით შეფასებისას** კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებების და განსხვავებული აზრის, ასევე სამართლებრივი პუბლიკაციის (წიგნის) გაცნობის შედეგად დავრწმუნდი, რომ მოსამართლე საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს ენობრივი და პროფესიული თვალსაზრისით გამართულად. მისი წერილობითი მსჯელობა ლაკონური და ლოგიკურია. თუმცა, გიორგი გოგიაშვილი იყენებს რთულ წინადადებებს, რაც ართულებს აზრის აღქმადობას.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	**ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასებისას** უნდა ითქვას, რომ კანდიდატი მეტყველებს გარკვევით და მშვიდად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს გადმოსცემს ადექვატურად. გიორგი გოგიაშვილს გააჩნია სხვათა აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით და ყურადღებით მოსმენის უნარი. მიმაჩნია, მის მიერ გამოთქმული ზეპირი მოსაზრებები გარშემომყოფთათვის ადვილად აღსაქმელია.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	**პროფესიული თვისებების, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის კუთხით შეფასებისას** უნდა ითქვას, რომ გიორგი გოგიაშვილი, როგორც თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლე და შესაბამისად, სამოსამართლო გამოცდილების მქონე, სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეებს ეპყრობა ერთგვაროვნად კორექტულად, სასამართლო პროცესს წარმართავს თავდაჯერებულად, მშვიდად და სამოსამართლო ეთიკის ნორმების სრული დაცვით. მხარეებს აძლევს მათი მოსაზრებების გამოთქმის თანაბარ შესაძლებლობებს, სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ზედმიწევნით იცავს სხვადასხვა საპროცესო ეტაპისათვის დაწესებულ საპროცესო სპეციფიკას. სამსახურებრივი მოვალეობების

			შესრულებისას აქვს მოსამართლის შესაფერისი იერსახე. რაც შეეხება გიორგი გოგიაშვილის მიერ საპროცესო ვადების დაცვას, მის შესახებ მომზადებული შემაჯამებელი ინფორმაციის მონაცემები შემდეგია: - საქმის განხილვის საპროცესო ვადების დაცვა: ვადის დაცვით -36,4%; ვადის დარღვევით - 63.6%. - გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა: ვადის დაცვით -57,8%; ვადის დარღვევით - 42,2%. - გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობა: უცვლელი - 96%; შეცვლილი - 4% - საანგარიშო პერიოდში (1014 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 767 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმემდე. მოცემული პროცენტული მაჩვენებელი როგორც საქმის განხილვის საპროცესო ვადის დარღვევის, ასევე გადაწყვეტილების მომზადების ვადები საკმაოდ მაღალია.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	**აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის კუთხით შეფასებისას** უნდა ითქვას, რომ კანდიდატი ღიაა სიახლეების მიმართ, და ცდილობს პროფესიული და თეორიული საქმიანობის შეთავსებას, რაც დადებითი მახასიათებელია და თავისთავად მოწმობს იმას, რომ მოსამართლე დიდ ძალისხმევას ახმარს პროფესიულ თვითგანვითარებას. გიორგი გოგიაშვილი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობასაც, კერძოდ, - 2016 წლიდან არის ექსპერტ-ლექტორი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. - 2015 წლიდან არის მოწვეული პროფესორი საქართველოს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში.

			- 2010 წლიდან მოწვეული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში. - 2009 წლიდან საჯარო სამართლის მიმართულების პროფესორი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელმწიფო უნივერსიტეტში. - 1999 წლიდან - 2006 წლამდე იყო მოწვეული ლექტორი ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
პროფესიული აქტივობა	5	5	**პროფესიული აქტივობის კუთხით შეფასებისას** უნდა ითქვას, რომ კანდიდატი - გიორგი გოგიაშვილი აქტიურად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. ჩამონათვალი მოცემული კანდიდატის შესახებ მოპოვებულ შემაჯამებელი ინფორმაციაში. რაც შეეხება სამეცნიერო პუბლიკაციებს, კანდიდატს ასევე წარმოდგენილი აქვს სახელმძღვანელო „სამოსამართლო სამართალი" მისი ავტორობით. იგი არის არაერთი სამეცნიერო პუბლიკაციის და წიგნის ავტორი და თანაავტორი.
ქულათა ჯამი	96	100	

სახელი გვარი: ირაკლი ბონდარენკო

ხელმოწერა:

თარიღი : 29.05.21

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	12	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	94	100

სახელი, გვარი: ირმა გელაშვილი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 7 ოქტომბრის N1/134 გადაწყვეტილებით გამოცხადებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის

გიორგი გოგიაშვილის

შეფასება/დასაბუთება

კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, გავითვალისწინე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია და კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესში გამოვლენილი გარემოებები.

კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმით:

ა). პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი - მითითებული მახასიათებლების შემოწმებისას გათვალისწინებულია კანდიდატის, როგორც მოქალაქის პატიოსნება, კეთილსინდისიერება, მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სხვ. კოლეგები კანდიდატს ახასიათებენ როგორც პატიოსან, ეთიკურ, კეთილსინდისიერ და მაღალი პროფესიული სინდისის მქონე პიროვნებას.

გიორგი გოგიაშვილს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი, ვადის გადაცილების გამო უფიქსირდება მცირედი ჯარიმები. კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

ბ). დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა -კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით გიორგი გოგიაშვილი ობიექტური, სამართლიანი და მიუკერძოებელი პიროვნებაა. რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი თავისუფალია სხვა სახის გავლენებისაგან და გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონით. საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა გამოხატა საკუთარი აზრი მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შედეგების საჯაროობის საკითხთან დაკავშირებით, კანდიდატს არ უჭირს განსხვავებული აზრის გაბედულად დაფიქსირება.

გიორგი გოგიაშვილი არასდროს ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი ან შემომწირველი. ამასთან, არ არსებობს მტკიცებულება, რომ გადაწყვეტილების გამოტანისას მოსამართლე არ იყო დამოუკიდებელი.

გ). პიროვნული და პროფესიული ქცევა - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირების შეფასებით გიორგი გოგიაშვილი უშუალო, გულწრფელი და ღია პიროვნებაა. საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატი გამოირჩეოდა თავდაჭერილობით, კორექტულობითა და თავაზიანობით. კანდიდატის თაობაზე მოძიებული ინფორმაციით დგინდება, რომ გიორგი გოგიაშვილის მიმართ დისციპლინური და/ან სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა.

დ). პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები გიორგი გოგიაშვილს ახასიათებენ მაღალი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნებად. კოლეგები აღნიშნავენ, რომ კანდიდატი სარგებლობს პატივისცემით როგორც სასამართლო აპარატსა და კოლეგებში, ასევე, ზოგადად იურიდიულ წრეებში.

ე). ფინანსური ვალდებულება - კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. აქვს მიმდინარე სესხი, ვადის გადაცილების გამო უფიქსირდება მცირედი ჯარიმები. კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმა.

გიორგი გოგიაშვილი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, არ არსებობს შეუსაბამობა მის შემოსავალს, ფინანსურ ვალდებულებებსა და მის საკუთრებაში არსებულ ქონებას შორის.

კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესსა და მასზე მოპოვებულ მასალებში არ გამოვლენილა კონკრეტული გარემოებები, რაც კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კანდიდატის უარყოფითად შეფასების საფუძველი იქნებოდა, ამდენად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმით:

სამართლის ნორმების ცოდნა: კანდიდატმა საჯარო მოსმენისას გამოავლინა მატერიალური და საპროცესო სამართლის ცოდნის მაღალი დონე: ისაუბრა სიცოცხლის უფლებაზე, ღირსებაზე, როგორც ყველა სხვა უფლების საფუძველზე, კონსტიტუციაში ღმერთის იდეაზე, ბუნებითი სამართლის ადგილზე საქართველოს კონსტიტუციაში. კანდიდატმა ერთმანეთისგან განასხვავა სამართლებრივი სისტემები და ისაუბრა სამომავლო განვითარების პერსპექტივაზე, მოიყვანა მაგალითები სხვადასხვა მეცნიერული ნაშრომებიდან თუ სასამართლო

გადაწყვეტილებებიდან, ფართოდ ისაუბრა სამოსამართლო სამართალზე, იმსჯელა კონსტიტუციის პრეამბულის მნიშვნელობასა და როლზე.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატი არის მოქმედი მოსამართლე და სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ გიორგი გოგიაშვილი სწორად იყენებს და განმარტავს სამართლის ნორმებს, რასაც მიუთითებენ კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირებიც. კანდიდატი სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე მსჯელობისას ავლენს ეროვნული სამართლის, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი დოქტრინების სიღრმისეული ცოდნის დონეს.

სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია: კანდიდატის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულია. სასამართლო გადაწყვეტილების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ დაცულია სამართლიანი სასამართლოს ისეთი აუცილებელი ელემენტი, როგორიც არის დასაბუთებული გადაწყვეტილება. აღსანიშნავია, რომ გიორგი გოგიაშვილის გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის მაჩვენებელი აღწევს 96%-ს.

საჯარო მოსმენის პროცესზე კანდიდატმა სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე საუბრისას გამოავლინა არგუმენტირებული მსჯელობის, სამართლებრივი დასაბუთებისა და აზრის ლოგიკურად ფორმირების უნარი. სამართლებრივი საკითხების განხილვისას კანდიდატი ხელმძღვანელობდა არა მხოლოდ სამართლებრივი ნორმებით, არამედ სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, ევროპული სასამართლოს პრეცედენტებითა და სამართლებრივი დოქტრინებით. კანდიდატმა ისაუბრა სასამართლო გადაწყვეტილების დაშტრიხვაზე და პერსონალური მონაცემების დაცულობაზე, იმსჯელა საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე[1] და მისი აღსრულებისა და იმპლემენტაციის გზებზე. ასევე, მოიხმო გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა და გამოკვეთა ქართულ და გერმანულ საკონსტიტუციო სასამართლოთა განსხვავებული მიდგომები.

---

[1] ააიპ ,,მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

აღსანიშნავია, რომ კანდიდატს მოსამართლედ მუშაობის 9-წლიანი, ხოლო პროფესიით მუშაობის 26-წლიანი გამოცდილება აქვს, რაც აისახება მის კომპეტენციასა და სამართლებრივი დასაბუთების უნარზე.

წერის უნარი: გიორგი გოგიაშვილმა წარმოადგინა 5 სამართლებრივი ნაშრომი, მათ შორის 3 სასამართლო გადაწყვეტილება, ერთი განსხვავებული აზრი და ერთი სამეცნიერო პუბლიკაცია, კერძოდ სახელმძღვანელო სახელწოდებით „სამოსამართლო სამართალი". კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების გაცნობის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ გიორგი გოგიაშვილი აზრს გადმოსცემს ნათლად და გასაგებად. კანდიდატი ავლენს იურიდიული ტერმინოლოგიისა და სამართლის თეორიების მაღალ დონეზე ცოდნას. კანდიდატის მიერ შექმნილი სამართლებრივი დოკუმენტები გამოირჩევა აკადემიური სტილით. გიორგი გოგიაშვილთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ კანდიდატს აქვს წერის განსაკუთრებული მანერა, რაზეც მეტყველების მისი გადაწყვეტილებები თუ სამეცნიერო ნაშრომები.

ზეპირი კომუნიკაციის უნარი: კანდიდატმა საჯარო მოსმენის პროცესზე გამოავლინა კარგი კომუნიკაციის, გამართული და ორატორულად მეტყველების, სხვისი განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. კანდიდატი საუბრობს მშვიდად, გაწონასწორებულად, აზრს გადმოსცემს ნათლად და მკაფიოდ. კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები უთითებენ, რომ გიორგი გოგიაშვილის ლექციები გამოირჩევა აუდიტორიის სიმრავლით. იგი ხშირად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში და ფლობს ზეპირი კომუნიკაციის მაღალ სტანდარტს.

პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში: კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები გიორგი გოგიაშვილს ახასიათებენ როგორც კომპეტენტურ, საქმისადმი თავდადებულ, შრომისმოყვარე პიროვნებად, რომელიც პროფესიული ზრდისთვის მუდამ მზადყოფნაშია. ერთ-ერთი რეკომენდატორის თანახმად, კანდიდატის მრავალწლიანი სამოსამართლო გამოცდილება აისახება მის პროფესიულ, მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევასა და მხარეებთან კომუნიკაციაზე. საყურადღებოა, რომ გიორგი გოგიაშვილის მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში საქმეთა განხილვის მაჩვენებელი 36.4%-ს, ხოლო გადაწყვეტილების მომზადების მაჩვენებელი 57.8%-ს აღწევს, რაც წარმოადგენს კანდიდატის სისუსტეს ორგანიზებულობის თვალსაზრისით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 96%-ის

შემთხვევაში. შესაბამისად, კანდიდატის მიერ გადაწყვეტილების კანონით დადგენილ ვადაში მომზადების დაბალი მაჩვენებელი შესაძლოა უკავშირდებოდეს იმ გარემოებას, რომ კანდიდატი მეტ დროს უთმობს გადაწყვეტილების დასაბუთებას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, გიორგი გოგიაშვილს საანგარიშო პერიოდში (1014 დღე) დასრულებული აქვს 767 საქმე, დღეში საშუალოდ 0,8 საქმემდე.

აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა: კანდიდატს მონაწილეობა აქვს მიღებული 7-ზე მეტ სასწავლო კურსსა და ტრენინგში სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე, მათ შორის რელიგიური ტოლერანტობის, ფინანსური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში ურთიერთთანამშრომლობის, საჯარო ადმინისტრაციის ცვლილებათა სტრატეგიის შესახებ და სხვ.

კანდიდატი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო და უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი. ასევე, გიორგი გოგიაშვილი არის სამართლის დოქტორი.

პროფესიული აქტივობა: პროფესიული აქტივობის თაობაზე მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი გოგიაშვილი ეწევა სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას რამდენიმე უნივერსიტეტში. კანდიდატი არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ექსპერტ-ლექტორი. გიორგი გოგიაშვილს გამოქვეყნებული აქვს არაერთი სამეცნიერო სტატია. კანდიდატი არის 6 წიგნის ავტორი (თანაავტორი), მათ შორისაა „სამოსამართლო სამართალი“, „შედარებითი კონსტიტუციური სამართალი“, „შედარებითი ფედერალიზმი“ და სხვ. ამასთან, კანდიდატი თავად არის არაერთი სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი.

კანდიდატის შემაჯამებელი შეფასება:

1. გიორგი გოგიაშვილი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
2. კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატს ვაფასებ 94 ქულით, კერძოდ:
   2.1.სამართლის ნორმების ცოდნა- 19 ქულა;
   2.2.სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 18 ქულა;
   2.3.წერის უნარი - 20 ქულა:
   2.4.ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 15 ქულა;

2.5.პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში - 12 ქულა;

2.6.აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5 ქულა;

2.7.პროფესიული აქტივობა - 5 ქულა.

ირმა გელაშვილი

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

თარიღი: 28.05.2021

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გიორგი გოგიაშვილის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	97	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი

თარიღი: 27.05.2021 წ.

გიორგი გოგიაშვილი

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის პატიოსანი, კორექტული და თავშეკავებული. ის გამოირჩევა პასუხისმგებლიანი მიდგომით მისთვის დაკისრებული მოვალოების შესრულებისას, ამასთან, კეთილსინდისიერად და ჯეროვნად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კანდიდატი არის დამოუკიდებელი და გამოირჩევა პრინციპულობითა და შეუვალობით. აღსანიშნავია, მისი კარგი პროფესიული და პიროვნული რეპუტაცია კოლეგებს შორის. კანდიდატი სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. ამასთან, ის არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. მნიშვნელოვანია, რომ მის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			კომენტარი
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**	კანდიდატი საფუძვლიანად ფლობს ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. ამასთან, მას სიღრმისეულად აქვს შესწავლილი ადამიანის

			უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, გასაუბრების მსვლელობისას გამოვლინდა, რომ თითოეულ საკითხზე კანდიდატს გამოკვლეული აქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა და კანონმდებლობა. ამასთან, ის აქტიურად ეცნობა და კარგად იცნობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	20	20	კანდიდატი არის საკმაოდ გამოცდილი იურისტი. მას აქვს ძალიან კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. თავის გამოცდილებასა და სიღრმისეულ ცოდნას კანდიდატი საკმაოდ კარგად ავლენს და იყენებს თავის გადაწყვეტილებებსა და სამეცნიერო ნაშრომებში.
წერის უნარი	20	20	თავის მოსაზრებებს კანდიდატი გადმოსცემს დამაჯერებლად, თანმიმდევრულად და გასაგები ენით, როგორც წერილობით, ისე ზეპირად. ის გამოირჩევა ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	კანდიდატი არის საკმაოდ თავშეკავებული და კორექტული, ის გამოირჩევა მოთმინების, ამასთან, განსხვავებული მოსაზრების მიღებისა და მოსმენის უნარით. მას აქვს საკმაოდ გამართული მეტყველების უნარი, საუბრობს მარტივი და გასაგები ენით. კანდიდატი ღიად და კორექტულად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	13	15	კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. ის პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, რომელთაც ასრულებს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. გამოირჩევა დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარით. გასაუმჯობესებელია კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული	5	5	კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, ის მუდმივად

წვრთნა			ცდილობს გაეცნოს სიახლეებს და სიღრმისეულად გააანალიზოს. მას აქვს თვითგანვითარების უნარი. კანდიდატი პერიოდულად ესწრება სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ შეხვედრას, მათ შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. ის არის არაერთი სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი, ამასთან, არის არაერთი სამართლებრივი სახელმძღვანელოს, სტატიისა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. კანდიდატი, ასევე, ეწევა აკადემიურ საქმიანობას, ის უძღვება სალექციო კურსებს სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამასთან, ის არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ექსპერტ-ლექტორი.
ქულათა ჯამი	97	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, გიორგი გოგიაშვილის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;*			

- *ფინანსური ვალდებულება.*

<u>**პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი**</u>

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ გიორგი გოგიაშვილს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. კანდიდატი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, თუმცა უფიქსირდება მცირედი ჯარიმები ფინანსური ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილებისათვის. გიორგი გოგიაშვილი არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება მისთვის დაკისრებულ ვალდებულებებს.

<u>**დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**</u>

კანდიდატი არის პრინციპული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი, რასაც ხაზს უსვამენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. კანდიდატს შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი.

მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, გიორგი გოგიაშვილი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი ანდა შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწყნარებელი ან ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.

<u>**პიროვნული და პროფესიული ქცევა**</u>

გიორგი გოგიაშვილს სათანადოდ აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში, კოლეგებთან თუ მხარეებთან ურთიერთობისას შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას. ის არის თავდაჭერილი და კორექტული, რასაც ადასტურებენ კანდიდატის რეკომენდატორები და კოლეგები.

კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

	დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად კანდიდატის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. მოძიებული ინფორმაციის თანახმად გიორგი გოგიაშვილი მხარედ მონაწილეობდა ოთხ სამოქალაქო საქმეში, ასევე ის ცნობილ იქნა დაზარალებულად, თუმცა ბრალდების მხარის მიერ ბრალდებაზე უარის თქმის გამო შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა. კანდიდატის საკითხებისადმი მიდგომიდან, დამოკიდებულებიდან და პასუხებიდან გამომდინარე შესაძლებელია ის შეფასდეს, როგორც ჰუმანური, კეთილსინდისიერი და სამართლიანი მოსამართლე. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები ხაზს უსვამენ კანდიდატის პროფესიონალიზმს, მაღალ რეპუტაციას როგორც მოსამართლეებს, ისე თეორეტიკოს იურისტებსა და სტუდენტებს შორის, გადაწყვეტილების კარგად დასაბუთების უნარს, მიუკერძოებლობას, დამოუკიდებლობას, სამართლიანობას, კომუნიკაბელურობას, პასუხისმგებლობას, მაღალ ინტელექტსა და ა.შ.. ამასთან, ზოგიერთი რეკომენდატორი კანდიდატის სისუსტედ მიიჩნევს მის ზედმეტ მოკრძალებულობას და თავისი შესაძლებლობების საჯაროდ გამოვლენისადმი უარყოფით დამოკიდებულებას. **<u>ფინანსური ვალდებულება.</u>** იმის გათვალისწინებით, რომ კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს, მიმაჩნია, რომ არ არსებობს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვის საფუძველი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, გიორგი გოგიაშვილი

	<u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.</u> <u>**კომპეტენტურობის კრიტერიუმების**</u> მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *სამართლის ნორმების ცოდნა;* • *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;* • *წერის უნარი;* • *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;* • *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;* • *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;* • *პროფესიული აქტივობა.* <u>**სამართლის ნორმების ცოდნა**</u> გასაუბრების შედეგად კანდიდატმა გამოავლინა, რომ საფუძვლიანად იცნობს ადმინისტრაციული სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აქტიურად ეცნობა და საკმაოდ კარგად იცნობს სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკასა და კანონმდებლობას, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. გასაუბრების მსვლელობისას გამოვლინდა, რომ თითოეულ საკითხზე კანდიდატს გამოკვლეული აქვს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. ყველა მისთვის დასმულ საკითხზე კანდიდატმა თავისი მოსაზრება გამოთქვა ღიად, იმსჯელა სიღრმისეულად და თითოეულ სამართლებრივ თუ ზოგად თემასთან დაკავშირებით და წარმოადგინა დასაბუთებული მოსაზრებები. კანდიდატმა გასაუბრების მსვლელობისას ამომწურავად და დასაბუთებულად, თანმიმდევრულად და გასაგებად იმსჯელა ყველა საკითხზე. ამასთან, მან მსჯელობისას და თავისი სამოსამართლო გამოცდილების მიმოხილვისას გამოავლინა, რომ თითოეულ საქმეს უდგება ინდივიდუალურად, ის არ იფარგლება კანონის ფორმალური განმარტების ვალდებულებით, უფრო მეტიც, ცდილობს დაიცვას თითოეული მხარისთვის კანონით

	მინიჭებული სამართლიანი სასამართლოს უფლება. სამსჯელო და სადავო (არასტანდარტული) სამართლებრივი საკითხების განხილვისას კანდიდატი მსჯელობდა ფართოდ, ცდილობდა ჩაღრმავებოდა ყველა დეტალს და განეჭვრიტა ყველა შესაძლო გამოწვევა და შედეგი. საბოლო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის საკითხებზე მსჯელობისას მან სათანადოდ ამოწურა კითხვათა საერთო რაოდენობის 90%. **<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>** კანდიდატი არის საკმაოდ გამოცდილი იურისტი. მას აქვს 26-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 9-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. მას აქვს ძალიან კარგი ანალიტიკური აზროვნების უნარი. თავის გამოცდილებასა და სიღრმისეულ ცოდნას კანდიდატი სათანადოდ იყენებს თავის გადაწყვეტილებებსა და სამეცნიერო ნაშრომებში. მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები თუ განსხვავებული მოსაზრებები არის დასაბუთებული, რაც სძენს მათ დამაჯერებლობას. ამასთან, გადაწყვეტილებები არის მხარეთათვის გასაგები. **<u>წერის უნარი</u>** თავის მოსაზრებებს კანდიდატი გადმოსცემს დამაჯერებლად, თანმიმდევრულად და გასაგები ენით, ის გამოირჩევა ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარით. გადაყვეტილებაში ფაქტობრივი გარემოებების აღწერისა და გადაწყვეტილების დასაბუთებისას აზრს გადმოსცემს თანმიმდევრულად და გარკვევით. **<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>** კანდიდატი არის საკმაოდ თავშეკავებული და კორექტული, ის გამოირჩევა მოთმინების, ამასთან, განსხვავებული მოსაზრების მიღებისა და მოსმენის უნარით. მას აქვს საკმაოდ გამართული მეტყველების უნარი, საუბრობს მარტივი და გასაგები ენით. კანდიდატი ღიად, გამჭვირვალედ და კორექტულად აფიქსირებს თავის მოსაზრებებს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. **<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში</u>**

	კანდიდატი არის პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული. გამოირჩევა დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარით, რასაც ადასტურებენ მისი რეკომენდატორები და კოლეგები. კანდიდატს აქვს სასამართლოს თავმჯდომარედ მუშაობის გამოცდილება, რაც მიმაჩნია, მეტყველებს მის მენეჯერულ უნარ-ჩვევებზე. უნდა აღინიშნოს, რომ გასაუმჯობესებელია კანდიდატის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების საპროცესო ვადების დაცვის მაჩვენებელი (36,4%, 57,8%). **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>** კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ, გასაუბრების მსვლელობისას გამოვლინდა, რომ ის მუდმივად ცდილობს გაეცნოს სიახლეებს და სიღრმისეულად გააანალიზოს. მას აქვს თვითგანვითარების უნარი. კანდიდატი პერიოდულად ესწრება სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პროფესიულ შეხვედრას, მათ შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით. **<u>პროფესიული აქტივობა</u>** კანდიდატი ეწევა სამეცნიერო საქმიანობას, არის არაერთი სამართლებრივი ჟურნალის სარედაქციო ჯგუფის წევრი, ამასთან, არის არაერთი სამართლებრივი სახელმძღვანელოს, სტატიისა და სამეცნიერო პუბლიკაციის ავტორი. კანდიდატი, ასევე ეწევა აკადემიურ საქმიანობას, ის უძღვება სალექციო კურსებს სხვადასხვა უნივერსიტეტში. ამასთან, ის არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის ექსპერტ-ლექტორი. გიორგი გოგიაშვილი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის წევრი. ასევე, ის არის უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრი.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021